მუსიკის მნიშვნელობა ჩვენ ცხოვრებაში

მოამზადა რუსუდან თაყაიშვილმა

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს მუსიკის მნიშვნელობის შესახებ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში და მათი კარნახით დაფაზე წერს, როდის ისმენენ მუსიკას ან მღერიან:

- მეცადინეობის დროს;
- კითხვის დროს;
- დასვენების დროს;
- ცეკვის დროს;
- აბაზანაში ყოფნის დროს;
- სადილობის დროს და ა. შ.

ზოგიერთი მათგანი, სავარაუდოდ, აღწერს ინსტრუმენტებზე დაკვრისა და მუსიკის შეთხზვის პროცესსაც.

სავარაუდოდ, მოსწავლეები დაასახელებენ ან მასწავლებელი შეახსენებს მათ 26 მარტს, ევროპის ჩემპიონატისთვის შესარჩევ საფეხბურთო მატჩში საქართველოს ნაკრების გამარჯვებას, სადაც სტადიონზე მთელი მატჩის განმავლობაში ჟღერდა მუსიკა და საზოგადოებრივ ადგილებზე თუ შინ მაყურებლებიც ერთიან მუსიკალურ წრედში იყვნენ ჩაბმულები, რაც განსაკუთრებულ ემოციურ მუხტსა და ერთიანობას ქმნიდა. შეახსენებს მატჩის თანმდევ მოვლენებს. სთხოვს, გაიხსენონ და განსაზღვრონ ის რეპერტუარი, რომელიც ამ თამაშის დროს ჟღერდა და ისაუბრონ მის მნიშვნელობაზე. გია მაჭარაშვილის სიმღერის მერაბ სეფაშვილისეული ვერსია „ზღაპრის ბოლო კეთილია“ ჰიმნად იქცა. საინტერესოა ბავშვების აზრი, რატომ, რა მახასიათებლების გამო გახდა ეს სიმღერა სიმბოლოდ და რამდენად განაპირობა მან მატჩის შედეგი. მასწავლებელი დისკუსიის დროს თავის სურვილის მიხედვით გამოიყენებს რესურსს:

- https://www.facebook.com/reel/1119195245785157
- https://www.facebook.com/Shuadgelivetv1/videos/1115801552878295
- გიორგი ქოჩორაშვილი: „...3-4 წელი ძალიან დიდი შრომა ჩავდე, შეიძლება, ამ მომენტისთვისაც კი... ამჯერად, ეს იყო დანიშნულება, რომელიც აუცილებლად უნდა შემესრულებინა და ამისთვის მზად ვიყავი. თამაშამდეც ვიგრძენი და თამაშის დროსაც ვგრძნობდი. ჩემი გუნდელების თანადგომამაც ხელი შემიწყო და როდესაც ბურთი ავიღე,

> მესმოდა შეძახილები და სიმღერა - „შენთანა ვარ“, „მარტო არ იქნები“, „ზღაპრის ბოლო კეთილია“... ხალხის დახმარებით კარგმა გაიმარჯვა“

შესაძლოა, ეს თემა გაფართოვდეს, მსურველებმა[1] ოჯახის წევრების დახმარებით მოამზადონ პრეზენტაცია საფეხბურთო მუსიკის/მუსიკალური ფეხბურთის თემაზე. ასევე, ამ თემაზე ღონისძიება შედგეს, სადაც მოსწავლეებთან ერთად სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას და ასევე, რამდენიმე მუსიკალური ნომერი შესრულდება.

[1] ამ დავალების შესრულება ნებაყოფლობითია.